

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. „მსს ფასს“-ის პირველადი გამოყენება	12
5. ფულადი სახსრები	13
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
10. ამონაგები და მიწოდების პირდაპირი დანახარჯი	15
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
12. მოგების გადასახადის ხარჯი	16
13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	16
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

ქართული ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1 284 250	1 747 664
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	107 296	121 637
მარაგები	7	15 058	15 142
სხვა საგადასახადო აქტივი			137 792
სულ მიმდინარე აქტივები		1 406 603	2 022 234
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	132 596	162 766
არამატერიალური აქტივები	8	14 651	17 583
სულ გრძელვადიანი აქტივები		147 247	180 348
სულ აქტივები		1 553 850	2 202 583
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	85 525	158 317
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები		-	21 787
საგადასახადო ვალდებულება		68 450	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		153 975	180 104
სულ ვალდებულებები		153 975	180 104
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
აკუმულირებული მოგება		1 399 875	2 022 478
სულ საკუთარი კაპიტალი		1 399 875	2 022 478
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 553 850	2 202 583

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 21 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

ირმა კოდუა

მთ. ბუღალტერი

მაია ადამაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

ქართული ლარი	შენიშვნა	2020	2019
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	10	1 026 884	7 563 304
მიწოდების პირდაპირი ხარჯი	10	(987 578)	(6 073 297)
საერთო მოგება		39 306	1 490 007
სხვა შემოსავალი		94 989	19 449
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(579 222)	(799 398)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		(444 927)	710 058
დადებითი საკუროსო სხვაობა		324 428	140 089
უარყოფითი საკუროსო სხვაობა		(62 664)	(98 783)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(183 163)	751 365
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(63 094)	(168 307)
წლის (ზარალი)/მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		(246 256)	583 058
სხვა სრული შემოსავალი			-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		(246 256)	583 058

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 21 სექტემბრის შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

ირმა კოდუა

მაია ადამაშვილი



თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

ქართული ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	2 022 478	2 022 478
წლის სრული (ზარალი)/მოგება		-	(246 256)	(246 256)
განაწილებული მოგება (დივიდენდი)		-	(376 347)	(376 347)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		-	1 399 875	1 399 875

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 21 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

.....

ირმა კოდუა

მთ. ბუღალტერი

.....

მაია ადამაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს გრატა დი ემ სი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „გრატა დი ემ სი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 12 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405004445, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, საირმის ქ. #40, ბ. 4, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100% წილის მფლობელი 2013 წლის 25 დეკემბრამდე იყო:

ირმა კოდუა (პ/ნ 01097000379) - 100%;

2013 წლის 25 დეკემბრიდან კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირმა კოდუა (პ/ნ 01097000379) - 60%;

ელენე დემიდოვა (პ/ნ 71 9488427, რუსეთის ფედერაცია) - 40%;

კომპანიის დირექტორი:

2013 წლის 12 აგვისტოდან (დაარსებიდან) - ირმა კოდუა (პ/ნ 01097000379);

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტურისტული მომსახურების გაწევა, იგი ახორციელებს ტურისტების (ან ტურისტის) ორგანიზებულად შემოყვანას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში) და ყველა დასახელებულ ტერიტორიულ არეალში მათთვის შესაბამისი ტურისტული მომსახურების პაკეტ(ებ)ის მიწოდებას.

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

2. მომზადების საფუძველი

2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასის თანხით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ოდენობა, რომლის მიღების უფლებას კომპანია მოელის, რომ მოიპოვებს კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარის სახელით მიღებული სახსრებისა.

ამონაგები აღიარდება ნეტო თანხით ფასდაკლებების, ფასდათმობების, უკან დაბრუნებების, დღგ-ს, საექსპორტო მოსაკრებლების და სხვა მსგავსი სავალდებულო გადასახადების გარეშე.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომპიუტერული ტექნიკა-5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სარეკლამო ძირითადი საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა მცირეფასიანი ინვენტარი - 4 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომლებზეც შეუძლებელია სარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, ეს ვადა განისაზღვრება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ და არ აღემატება 10 წელს.

გადახდილი ავანსი

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის. გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საკონტრაქტო ვალდებულებები

კლიენტებისგან მიღებული ავანსები, კომპანიის მიერ კლიენტებისთვის პროდუქტზე კონტროლის გადაცემამდე ან/და მომსახურების გაწევამდე აღიარებულია საკონტრაქტო ვალდებულებად. საკონტრაქტო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომ მოახდინოს პროდუქტის და მომსახურების გადაცემა კლიენტებზე, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს ანაზღაურება.

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება საკუთარი კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება და შეთანხმდება პარტნიორთა შორის. ქართული კანონმდებლობით მოგების განაწილების საფუძველს წარმოადგენს მიმდინარე წლის წმინდა მოგება.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი;

1 GBP=4.4529 ლარი;

1 AZN=1.9288 ლარი.

1 RUB=0.0440 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი;

1 GBP=3,7593 ლარი;

1 AZN=1.6861 ლარი.

1 RUB=0.0464 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2020 წელს:	1 USD=3.1125 ლარი;	1 GBP=3.9959 ლარი;
	1 EUR=3.5587 ლარი;	1 AZN=1.8317 ლარი.
	1 RUB=0.0431 ლარი.	

2019 წელს:	1 USD=2.8224 ლარი;	1 GBP=3.5996 ლარი;
	1 EUR=3.1585 ლარი;	1 AZN=1.6617 ლარი.

4. „მსს ფასს“-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის შესაბამისი კომპანიის მესამე წლიური

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგებაა. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არცერთი სახის ფინანსური ანგარიშგება არ მოუმზადებია. მსს ფასს-ზე გადასვლამდე, კომპანია აწარმოებდა სააღრიცხვო ჩანაწერებს იმ პოლიტიკის მიხედვით რომელიც გარკვეულწილად ეფუძნებოდა საგადასახადო კანონმდებლობას და ქვეყანაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

5. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება:

ქართული ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	192	102
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები:		
ლარში დენომინირებული	8 405	49 005
აშშ დოლარში დენომინირებული	555 141	1 214 960
ევროში დენომინირებული	706 960	482 492
გირვანქა სტერლინგში დენომინირებული	163	282
რუსულ რუბლში დენომინირებული	7	24
აზერბაიჯანულ მანათში დენომინირებული	13 382	799
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1 284 250	1 747 664

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

ქართული ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	14 101	15 257
გაცემული ავანსები	39 399	47 969
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
მოთხოვნები გაცემული სესხიდან	53 796	58 411
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	107 296	121 637

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

შპს გრატა დი ემ სი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები წარმოდგენილია:

ქართული ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნედლეული	-	-
საწვავს-საპოხი მასალები და სათადარიგო ნაწილები	15 058	15 142
სულ მარაგები	15 058	15 142

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები შედგება:

ქართული ლარი	ავტომობილები	საოფისე აღჭურვილობა	სარეკლამო ინვენტარი	სხვა ამორტიზებადი	არამატერიალური აქტივი	სულ
თვითღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	80 033	50 733	68 452	9 836	28 756	237 811
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია	(10 671)	(21 472)	(10 886)	(3 259)	(11 174)	(57 462)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	69 362	29 260	57 566	6 577	17 583	180 348
დამატებები	-	2 868	1 398	-	-	4 266
გასვლები	-	(823)	-	-	-	(823)
ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი	(8 003)	(9 788)	(13 855)	(1 967)	(2 931)	(36 544)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	61 359	21 518	45 109	4 610	14 651	147 247

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

ქართული ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	49 786	88 001

შპს გრატა დი ემ სი**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

მიღებული ავანსები	35 739	70 316
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	85 525	158 317

31.12.2020 წ. მდგომარეობით კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიები და ფიზიკური პირები.

10. ამონაგები და მიწოდების პირდაპირი დანახარჯი

2020 წელს, კომპანიის ამონაგები და მასთან დაკავშირებული მიწოდების პირდაპირი ხარჯები შედგება:

ამონაგები:		
<i>ქართული ლარი</i>	2020	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან საქართველოში	455 339	4 744 017
ამონაგები მომსახურების გაწევიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ (აზერბაიჯანი და სომხეთი)	571 546	2 819 287
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	1 026 884	7 563 304

მიწოდების პირდაპირი ხარჯი:		
<i>ქართული ლარი</i>	2020	2019
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	(345 221)	(3 151 260)
გიდისა და ტრანსპორტირების ხარჯი	(59 802)	(552 481)
აგენტების საკომისიო და ინსპექტირების ხარჯი	(15 276)	(100 337)
რესტორნებისა და სხვა საზ. დაწესებულებების მომსახურების ხარჯი	(245 379)	(958 860)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	(182 288)	(482 225)
სხვა მასალები, ინვენტარი და პროფესიული მომსახურების ხარჯი	(139 612)	(828 134)
სულ მიწოდების პირდაპირი ხარჯი	(987 578)	(6 073 297)

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის 2020 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

<i>ქართული ლარი</i>	2020	2019
ხელფასის ხარჯი	(399 513)	(446 662)
იჯარის ხარჯი	(30 209)	(47 021)
საოფისე ხარჯი	(25 322)	(20 283)

შპს გრატა დი ემ სი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კომუნიკაციის ხარჯები	(4 475)	(6 438)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(4 297)	(4 452)
ცვეთა და ამორტიზაცია	(36 544)	(30 301)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(332)	(16 416)
საბანკო ხარჯი	(6 687)	(23 732)
მივლინების ხარჯი	(8 473)	(35 490)
კომუნალური დანახარჯი	(2 866)	(4 163)
დაზღვევის ხარჯი	(7 304)	(7 208)
სხვა ადმინისტრაციული	(53 200)	(157 232)
სულ მიწოდების პირდაპირი ხარჯი	(579 222)	(799 398)

12. მოგების გადასახადის ხარჯი

2020 წელს კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი წარმოიშვა მოგების დივიდენდად განაწილების მომენტში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი ოდენობაა 63 094 ლარი.

13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს კომპანიას დირექტორთან და პარტნიორებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.

განხორციელებული ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული პერიოდით
მარკეტინგული მომსახურების შესყიდვები	27 742	0
სულ:	27 742	0

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორც პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 21 სექტემბერს.